გენდერული ლიდერობა: თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს პერსპექტივა (საბანკო სფეროს მაგალითზე)

ანა დვალაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლების და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: საბა ჯაჯანიძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგებს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტრების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლაფ მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა დვალაძე

03.07.2022

აბსტრაქტი

დღეს დღეისობით კერძო სტრუქტურებში ქალების რაოდენობის მზარდი ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მსოფლიოში არსებულ სიტუაციას თუ გადავხედავთ მდედრობითი სქესი ნაკლებად არის დასაქმებული ლიდერ პოზიციებზე. ჯერ კიდევ არსებობს სტერეოტიპული დამოკიდებულებები ქალების მიმართ, რაც აფერხებს მათ კარიერულ განვითარებას. კვლევის მიზანია გავეცნოთ და გავაანალიზოთ საქართველოს საბანკო სფეროში არსებული მდგომარეობა გენდერული ლიდერობის კუთხით, გამოვყოთ ძირითადი პრობლემები.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ფარგლებში მოხდა ლიდერებისა და თანამშრომლების გამოკითხვა, შემდეგ ბანკებში: თიბისი ბანკი და ლიბერთი ბანკი. დამატებით გამოიკითხა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MBS.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს საბანკო სფერო ამ მიმართილებით საკმაოდ განვითარებულია, დადებითი ტენდენციები შეინიშნება სამივე ფინანსურ ორგანიზაციაში. საბანკო სფეროში არ არსებობს დისკრიმინაციული მიდგომები გენდერის კუთხით. ლიდერები და თანამშრომლები რომელიმე გენდერს არ ანიჭებენ უპირატესობას. რესპოდენტების უმეტესობა ფიქრობს, რომ როგორც ქალს ისე მამაკაცს შეუძლია იყოს ეფექტური ლიდერი და ეს სქესზე არაა დამოკიდებული. მაშასადამე საქართველოში საბანკო სექტორი გენდერული ლიდერობის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულია, დაცულია მრავალფეროვნება ლიდერულ პოზიციაზე, თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ გამოკითხულ ფინანსურ ორგანიზაციებში თანამშრომელთა შორის ჭარბობს მდედრობითი სქესი.

საძიებო სიტყვები: ლიდერობა, გენდერული ლიდერობა, გენდერული თანაფარდობა, „მინის ჭერი“, დისკრიმინაცია.

Abstract

Today, there is an increasing trend in the number of women in private structures, however, if we look at the current situation in the world, the female gender is less often employed in leadership positions. There are still stereotypical attitudes towards women that hinder their career development. The purpose of the study is to get to know and analyze the current situation in the banking sector of Georgia in terms of gender leadership, to identify the main problems.

As part of the quantitative and qualitative research, leaders and employees were surveyed in the following banks: TBC Bank and Liberty Bank. In addition, the microfinance organization MBS was interviewed.

As a result of the research, it was established that the banking sphere of Georgia is quite developed in this direction, positive trends are observed in all three financial organizations. There are no discriminatory approaches in terms of gender in the banking sector. Leaders and employees do not favor any gender. Most of the respondents think that both women and men can be effective leaders and it does not depend on gender. Therefore, the banking sector in Georgia is one of the most progressive in terms of gender leadership, diversity is preserved in the leadership position, although it is also noteworthy that the female gender prevails among the employees in the surveyed financial organizations.

Search words: leadership, gender leadership, gender ratio, "glass ceiling", discrimination.